

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო
დადგენილება №85
06. 03. 2009 წელი

სტუ-ს აკადემიური საბჭოს რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. მიღებული იქნეს სტუ-ს აკადემიური საბჭოს რეგლამენტში საინიციატივო ჯგუფის მიერ შემოთავაზებული ცვლილებები და დამატებები; კერძოდ, აკადემიური საბჭოს მუდმივმოქმედი და დროებითი კომისიების შექმნა და აკადემიური საბჭოს სხდომაზე განსახილველად საკითხის რეგისტრაციის, მომზადებისა და შეტანის წესები.

2. შეიქმნას შემდეგი მუდმივმოქმედი კომისიები:

- სტრატეგიული განვითარების
- საფინანსო – საბიუჯეტო
- სასწავლო – სამეცნიერო
- საწესდებო
- საგარეო ურთიერთობათა

3. აკადემიური საბჭოს კორექტირებული რეგლამენტი განთავსდეს სტუ-ს ვებ-გვერდზე და ამონაწერი რეგლამენტიდან, რომელიც ეხება აკადემიური საბჭოს კომისიებს და აკადემიური საბჭოს სხდომაზე განსახილველად საკითხის რეგისტრაციის, მომზადებისა და შეტანის წესებს ეცნობოს სტუ-ს შესაბამის სტრუქტურებს.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
პროფ.

ა. ფრანგიშვილი

სტუ-ს აკადემიური საბჭოს მდივანი,
პროფ.

გ. სალუქვაძე